



IBSU

სადოქტორო  
პროგრამების  
კატალოგი

**სადოქტორო  
საბანმანათლებლო  
პროგრამების კატალოგი  
(ინგლისურენოვანი)**

2022 წ

## შინაარსი

უავი ზღვის სავრთაუოროისო უნივერსიტიის უესახებ .....	3
ბიზნესის აღმინისტრირება.....	3
ამერიკისმცოღნობა.....	9
კომპიუტერული მენიერება .....	15
ბანათლების მენიერება.....	19

# შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის შესახებ

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (IBSU) 1995 წლიდან ეწევა სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობას. უნივერსიტეტი არის პირველი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში, რომელიც სწავლების სამივე საფეხურზე ახორციელებს პროგრამებს, როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენებზე.

უნივერსიტეტში სწავლის მაღალ დონეს ადგილობრივი და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული 200-ზე მეტი პროფესორი უზრუნველყოფს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი სტუდენტებს უამრავ შესაძლებლობას სთავაზობს. კერძოდ: მრავალფეროვან საჯარო ლექციებს, სხვადასხვა დარგის ექსპერტებთან დისკუსიებს, ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას, იმიტირებულ სასამართლო პროცესებს, ბიბლიოთეკაში 25 000-ზე მეტ წიგნსა და მუდმივად განახლებად ელექტრონულ ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობას, 30-ზე მეტი განსხვავებული მიმართულების კლუბებში ჩართვას; სპორტის სხვადასხვა სახეობის ჩემპიონატში მონაწილეობას, სპორტდარბაზში, კალათბურთის მოედანზე, ღია და დახურულ სტადიონებზე ვარჯიშის შესაძლებლობას, ექსკურსიებს, პიკნიკებს, ლაშქრობებსა და სხვა კლასგარეშე აქტივობებს.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის 4500-ზე მეტი კურსდამთავრებული უკვე ფლობს უნივერსიტეტის მიერ გაცემულ უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომს. IBSU-ს სტუდენტები აქტიურად სარგებლობენ გაცვლითი პროგრამებით. უნივერსიტეტს 24 ქვეყნის სასწავლო დაწესებულებასთან 70 მემორანდუმი აქვს გაფორმებული. IBSU ჩართულია Erasmus+-ისა და DAAD-ის პროექტებში.

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ, 2

საფოსტო ინდექსი: 0131

+995 32 2595006  
[contact@ibsu.edu.ge](mailto:contact@ibsu.edu.ge)

საკონტაქტო ინფორმაცია იხილეთ ბმულზე შესაბამისი პროგრამის განყოფილებაში

<https://ibsu.edu.ge/ge/doctorate/>

# ბიზნესის ადმინისტრირება

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ბიზნესის ადმინისტრირება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

სწავლების ენა: ინგლისური

## პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

სადოქტორო პროგრამაზე შესაძლებელია ჩაირიცხოს პირი, რომელმაც მოიპოვა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ან მის მიერ უცხო ქვეყანაში მიღებული უმაღლესი განათლება აღიარებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და უთანაბრდება მაგისტრის აკადემიურ ხარისხს. უცხოეთში მიღებული დიპლომისა და ნიშნების აღიარება ხდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი უნდა ფლობდეს ბაკალავრის ან მაგისტრის აკადემიური ხარისხს ბიზნესის ადმინისტრირების ან ეკონომიკის მიმართულებით და აკმაყოფილებდეს სადოქტორო პროგრამით დადგენილ წინაპირობებს:

- უცხო ენის ცოდნა B2 დონეზე, რომელიც დადასტურებულია ერთ-ერთი საერთაშორისო სერტიფიკატითან ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე სწავლით. კანდიდატს შეუძლია ჩააბაროს შესაბამისი დონის გამოცდა შხსუ-ში;
- კანდიდატმა უნდა წარადგინოს 5 გვერდიანი საკვლევი თემის პროექტი, რომელიც შეფასდება დარგობრივისადისერტაციო საბჭოს მიერ. საბჭო შედეგა მინიმუმ 3 წევრისაგან (პროგრამის კოორდინატორი და მინიმუმ 2 შესაბამისი დარგის პროფესორი);
- საკვლევი თემის პროექტთან დაკავშირებული გასაუბრების წარმატებით გავლა.

ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდება პირი, რომელსაც ინგლისურ ენაზე დასრულებული აქვს საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში და მისი ნიშნების საშუალო (GPA) შეადგენს არანაკლებ 75 (სამოცდათხუთმეტი) ქულას 100 (ასი) ქულიდან ან 3 (სამი) ქულას 4 (ოთხი) ქულიდან, ასევე პირი, რომელიც იმ ქვეყნის მოქალაქეა, სადაც ინგლისური ენა პირველი/მეორე სახელმწიფო ენაა. ყველა სხვა კანდიდატი ვალდებულია ჩააბაროს ინგლისური ენის გამოცდა შხსუ-ში ან წარადგინოს ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი.

## პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები:

სწავლის შედეგი მოიცავს იმ კომპეტენციების ერთობლიობას, რაც განსაზღვრავს რა უნდა იცოდეს, ისწავლოს და გააცნობიეროს სწავლის პროცესში და სწავლის დასრულების შემდეგ სხვადასხვა საფეხურზე. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო

პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებულებს ჩამოყალიბდებათ შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

#### **ცოდნა და გაცნობიერება:**

- ის თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, რომელიც სტანდარტებით არის გათვალისწინებულია ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად;
- თანამედროვე ტენდენციებისა და თეორიების ცოდნა, რომელიც ხელსშეუწყობს სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის უნარს მარკეტინგის, ბიზნესის და ფინანსები სფეროში არსებული ლიტერატურის კვლევის დროს, რომელსაც შემდგომ გამოიყენებს აკადემიურ პროცესში და რეალურ ბიზნეს გარემოში.

#### **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**

- დარგში და დარგთაშორის არსებული კვლევებისა და კრეატიული პროექტების გააზრება;
- არსებული თეორიების, მეთოდოლოგიების, ცოდნის და დარგში არსებული ფუნდამენტური კითხვების კრიტიკული გააზრება;
- სხვა სტუდენტების დახმარება კვლევის წარმოების დროს;
- პროფესიული უნარების დემონსტრირება უნივერსიტეტში საბაკალავრო და სამაგისტრო დონეზე სწავლებისა და სტუდენტების ცოდნის შეფასების დროს;
- ცოდნის ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღება და დოქტორის წინაშე წაყენებული თანამედროვე მოთხოვნების დაკმაყოფილება;
- კარიერული შესაძლებლობების გაღრმავება;
- ახალი უნარებისა და პრობლემის გადაჭრის უნარი;
- საგანმანათლებლო და კვლევითისაქმიანობის დაგეგმვის უნარი; ლიტერატურის მოძიების და ანალიზის, კვლევისთვის საჭირო მეთოდოლოგიის არჩევის, ჰიპოთეზის ჩამოყალიბების და შედეგების ტესტირების უნარი.

#### **დასკვნის უნარი:**

- საკუთარი ხედვის ჩამოყალიბების და ანალიზის უნარი, რომელიც ეფუძნება მოძიებული ლიტერატურის გაცნობას, ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს შესახებ მოპოვებულ ინფორმაციას; პრობლემის მოსაგვარებლად გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- მეცნიერული ნაშრომის კრიტიკული გააზრების უნარი;
- მულტიკულტურული გარემოს ანალიზისა და პატივისცემის უნარი;
- საკუთარი საკვლევი საკითხის მოდელისა და მეთოდოლოგიის განვითარების, შედეგების დამუშავების, საზოგადოებაში და ბიზნესში არსებული პრობლემების შესახებ დასკვნის გაკეთების უნარი.

#### **კომუნიკაციის უნარი:**

- სხვადასხვა კატეგორიის ადამიანებთან, ლიდერებთან, მენტორებთან და გუნდის წევრებთან პროდუქტიული, გულწრფელი და პროფესიულ დონეზე თანამშრომლობის უნარი;

- ბიზნესის სფეროსთან დაკავშირებულ თემებზე საკუთარი აზრებისა და შეხედულებების გამოხატვის უნარი; პროფესიულ და მეცნიერულ დონეზე, კონფერენციებზე დებატებში მონაწილეობის უნარი;
- ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის უნარი.

#### **სწავლის უნარი:**

- სტუდენტი შეძლებს ეფექტიანად დაგეგმოს, განახორციელოს და დამოუკიდებლად გაუწიოს მონიტორინგი საკუთარი სწავლისა და პროფესიული განვითარების პროცესს;
- სტუდენტი შეძლებს აწარმოოს სხვადასხვა კვლევები, შექმნას პროექტები და მოამზადოს პუბლიკაციები ბიზნესის სფეროში არსებული პრობლემებისა და რეკომენდაციების შესახებ.

#### **ღირებულებები:**

- ცოდნის ფორმირებაში წვლილის შეტანის უნარი;
- დარგში და დარგთაშორის არსებული ცოდნის და დისციპლინების პატივისცემა;
- აკადემიურ და ბიზნეს სფეროში ინოვაციების შეფასების, მათი სწავლების პროცესში და ბიზნეს გარემოში და ორგანიზაციებში გამოყენების უნარი.

### **სწავლა-სწავლების მეთოდები (სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები)**

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების განხორციელება ხდება სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

**ლექცია** - ძირითადი თეორიული მასალის, ცნებების და სხვ. განხილვას ტუდენტთა აქტიური ჩართულობით. იგი ძირითადად ორიენტირებულია შესასწავლი მასალის მეცნიერული თეორიებისა და მიდგომების საფუძვლიან შესწავლაზე. აქტიურად ხდება საკითხების სიღრმისეული გაშუქება, რა დროსაც გონებრივი იერიშის და სხვადასხვა ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით ხდება სტუდენტთა აქტიური ჩართვა დისკუსიებში, თემების ნათლად წარმოსახვასა და გარკვევაში.

**სამუშაო ჯგუფში მუშაობა** - ჯგუფური მუშაობა ავითარებს თანამშრომლობის პირობებში კონკრეტული ამოცანების დაგეგმვისა და რეალიზების ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს ხდება ქეისების, ქვიზების, სავარჯიშოების, მაგალითების განხილვა, რითაც სტუდენტები იძენენ პრობლემის ჯგუფურად გადაწყვეტის უნარ-ჩვევებს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გუნდში მუშაობის უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას, სხვათა აზრის გათვალისწინება/გაზიარებას დაკ ორექტული კომუნიკაციის კომპეტენციების დაუფლებას.

**პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა** - პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებზე საკითხების სიღრმისეული წვდომის მიზნით ხდება ყურადღების კონცენტრირება საკითხების შესაბამისი მაგალითების, შემთხვევის ანალიზის (ქეისების) თუ ვიდეო მასალების განხილვაზე, სავარჯიშოების შეთავაზებაზე, მათი გადაწყვეტის, ამოხსნის გზების ძიებაზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ შემენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების განმტკიცებას და შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.

**სემინარი** - სემინარის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეთ ლექციაზე მოსმენილი საკითხების და თემების დეტალიზაციის, უკეთ გარკვევისა და გაანალიზების რეალური შესაძლებლობა.

სემინარი ცოდნის გადაცემის საშუალებაა, რომლის დროსაც იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები და ამ პროცესის მიზანმიმართულად წარმართვას კოორდინაციას უწევს ლექტორი. სემინარული მუშაობა ტარდება საჭიროებისამებრ, სალექციო მასალის გადაცემის კვალდაკვალ.

**დამოუკიდებელი მუშაობა** - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით შესაძლებელია ლექციაზე შეძენილი ცოდნის გამყარება და გაღრმავება. დამოუკიდებელი მუშაობა გულისხმობს სახელმძღვანეოებისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გამოყენებით მასალის მოძიებას, წაკითხვას, გააზრებასა და შესწავლას, ასევე ლექციის მსვლელობისას მიღებული საშინაო დავალებების შესრულებას. ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს საკითხებისადმი ინტერესის გაღვივებას, საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილს, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

## სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას

- 1) (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა;
- 2) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;
- 3) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;
- 4) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა;
- 5) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას

- 1) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- 2) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:



- ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;
- ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

## დასაქმების სფერო

დოქტორის ხარისხს, როგორც წესი არსებითი მნიშვნელობა აქვს აკადემიურ კარიერისთვის და სპეციალიზებულ სამეცნიერო თანამდებობისთვის კვლევით ორგანიზაციებში/ინსტიტუტებში. ასევე, გარდა სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობისა, დოქტორის ხარისხი და სწავლის პერიოდში მიღებული უნარ-ჩვევები და პრაქტიკა შესაძლოა მაღალ დონეზე შეფასდეს დამსაქმებლის მიერ და ხელი შეუწყოს მართვის და სხვა ფუნქციონალურ სფეროებში მაღალი თანამდებობების დაკავებაში როგორც საჯარო ასევე კერძო სექტორში, სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებში და ორგანიზაციებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამა მიზნად ისახავს იმ ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტების დახმარებას, ვინც ეძებს კარიერული შესაძლებლობებს ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებში. უფრო კონკრეტულად, დასაქმების სფერო შესაძლოა წარმოადგენდეს შემდეგს:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში როგორც აკადემიურ ასევე ადმინისტრაციულ პოზიციებზე რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო პროცესის წარმატებულად წარმართვა და განვითარება;
- სამეცნიერო დაწესებულებებში (კერძოდ, ისეთ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომლებიც წარმოადგენენ თანამედროვე ბიზნეს გარემოსათვის დამახასიათებელ ტენდენციათა კვლევისა და კრიტიკული ანალიზის წამყვან ცენტრებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს);
- საჯარო და კერძო სტრუქტურებში;
- დამოუკიდებელ ბიზნეს ექსპერტებად მუშაობის შესაძლებლობა.

# ამერიკისმცოდნეობა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ამერიკისმცოდნეობა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ამერიკისმცოდნეობის დოქტორი

სწავლების ენა: ინგლისური

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროგრამის კანდიდატს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კანდიდატი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას C1 დონეზე, რომელიც დადასტურებულია ერთ-ერთი საერთაშორისო სერტიფიკატით ან ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე სწავლით. კანდიდატს შეუძლია ჩააბაროს შესაბამისი დონის გამოცდა შხსუ-ში. საუნივერსიტეტო წესის მიხედვით, სადოქტორო პროგრამაზე სწავლის კანდიდატებმა უნდა წარადგინონ კვლევის გეგმა, რომლის პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობას ქვემოთ მოტანილი რუბრიკის მიხედვით ადასტურებს პროგრამის ხელმძღვანელი და დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს სულ ცოტა 3 წევრისგან შედგენილი კომისიამ და გაიაროს ინტერვიუ / ზეპირი პრეზენტაცია ამავე კომისიის წინაშე.

თუ სერტიფიკატით/გამოცდით არ დასტურდება ინგლისური ენის ცოდნის C1 დონე, მაგრამ კანდიდატის ინგლისური ენის ცოდნის დონე შეიძლება შეფასდეს როგორც უფრო მაღალი ვიდრე B2 დონე და კანდიდატი ამჟღავნებს ინგლისური ენის ცოდნის მაღალ დონეს კვლევის გეგმის განხილვისას, რომლის მოთხოვნებთან შესაბამისობას ადასტურებს დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს სულ ცოტა 3 წევრისგან შედგენილი კომისია, როგორც გამონაკლისი, კანდიდატს შეიძლება მიეცეს უფლება კომისიის წინაშე გაიაროს ზეპირი ინტერვიუ ინგლისურ ენაში და დადებითი შეფასების შემთხვევაში დაშვებული იქნას პროგრამაზე.

**პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები:**

**ცოდნა და გაცნობიერება**

კურსდამთავრებულს ექნება:

- ამერიკის მულტიკულტურალიზმის, ემიგრაციის, ისტორიის, XX საუკუნის პოლიტიკური ისტორიის, XX საუკუნის ლიტერატურული მიმდინარეობების დრმა ცოდნა;
- მულტიკულტურალიზმის, პოლიტიკის, ლიტერატურული ტერმინებისა და ასევე თეორიების ცოდნა, რაც საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად იმუშაოს საკვლევ ლიტერატურაზე, სახელმძღვანელოებზე, მონოგრაფიებზე, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებულ სტატიებზე;

- ამერიკისმცოდნეობის როგორც ინტერდისციპლინარული დარგის მსოფლიოში გავრცელებული უახლესი ტენდენციების ცოდნა;
- დასავლური ღირებულებების ცოდნა, რაც ეხმარება მეცნიერული შეფასებების გაკეთებაში;
- სტუდენტი გააცნობიერებს ამერიკის შეერთებული შტატების განვითარებული დემოკრატიისათვის დამახასიათებელ ტოლერანტობას სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მიმართ.

### **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შეარჩოს კვლევის თანამედროვე თემა ამერიკისმცოდნეობაში, ამ თემის ირგვლივ განახორციელოს ლიტერატურის მოძიება და ანალიზი, დასვას პრობლემური კითხვები, შეარჩოს კვლევის ადეკვატური მეთოდები და შეიმუშაოს ჰიპოთეზა, შემდეგ კი შეამოწმოს მისი ნამდვილობა;
- სტუდენტს შეუძლია მულტიდისციპლინარული საგნებიდან შერჩეული თემის კვლევის განხორციელებისას მიღებული შედეგი მოამზადოს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში სტატიის სახით პუბლიკაციისათვის;
- მოამზადოს ანალიტიკური საკონფერენციო მოხსენებები ამერიკის მულტიკულტურალიზმის, პოლიტიკისა და ლიტერატურის საკითხებზე.

### **დასკვნის უნარი**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- განახორციელოს ამერიკისმცოდნეობის სფეროსათვის დამახასიათებელი წაკითხული სამეცნიერო ლიტერატურის, მას-მედიიდან მიღებული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი და შეფასება, მათზე დაყრდნობით გადაწყვეტილებების მიღება და პრობლემების გადაჭრა;
- გაავლოს პარალელები მშობლიურ და უცხო კულტურებს შორის, იპოვოს განსხვავებები და მსგავსებები და გააკეთოს სათანადო დასკვნები;
- გამოიყენოს მიღებული ამერიკისმცოდნეობის მულტიდისციპლინარული და ინტერდისციპლინარული თეორიული ცოდნა ანალიზისათვის, შეიმუშაოს საკუთარი კვლევითი პლატფორმა (ანკეტები, ინტერვიუს საკითხები), თემის ფარგლებში ექსპერიმენტის დაგეგმვა და განხორციელება, შედეგების ინტერპრეტაცია.

### **კომუნიკაციის უნარი**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ამერიკისმცოდნეობის უახლეს თემატიკაზე აწარმოოს როგორც წერითი, ასევე ვერბალური კომუნიკაცია;
- სხვა კულტურის წარმომადგენლებს გაუზიაროს საკუთარი მოსაზრებები და დაამყაროს კომუნიკაცია;
- მიიღოს მონაწილეობა დებატებში და დისკუსიებში, კულტურათა დიალოგში;
- წარადგინოს საკუთარი სამეცნიერო ნაშრომი პრეზენტაციის სახით საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების წინაშე კონფერენციაზე და დისერტაციის დაცვისას, გასცეს პასუხი დაინტერესებულ პირებს, მოახდინოს პროფესიული წერილობითი ურთიერთობა;

- საკუთარი აზრის ეფექტურად მიტანა მსმენელამდე, მისი წარმოდგენა თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებით.

### სწავლის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად დაგეგმვა; მისი დამოუკიდებლად განხორციელება და პროცესის მონიტორინგის წარმოება;
- სწორი მიმართულებებით განსაზღვროს სწავლის პრიორიტეტები და კვლევის პროცესი.

### ღირებულებები

კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს:

- პატივისცემის გრძნობა ამერიკული და ამავდროულად სხვადასხვა ქვეყნის კულტურების, ტრადიციების, კანონებისა და წეს-ჩვეულებების მიმართ;
- ტოლერანტობა კულტურული და ინდივიდუალური განსხვავებების მიმართ. იგი იზიარებს ჰუმანიზმის და ლიბერალიზმის პრინციპებს და მათ დასამკვიდრებლად შეიმუშავებს ახალ, ინოვაციურ მეთოდებს.

## სწავლა-სწავლების მეთოდები (სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები)

სასწავლო პროცესში გამოიყენება სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები:

- **ვერბალური, ანუ სიტყვიერი მეთოდი** - ახალი მასალის გადაცემა ზეპირსიტყვიერად, თხრობითი სახით, რომლის დროსაც კომპლექსურად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი თემატიკის შინაარსიდან გამომდინარე; სტუდენტ-დოქტორანტები იყენებენ ვერბალურ მეთოდს, როცა უსმენენ ლექციებს, მონაწილეობენ სემინარებში, აკეთებენ პრეზენტაციებს და წერენ მოხსენებებსა და დისერტაციას, იცავენ მას. ძირითადად გადის ცოდნისა და გაცნობიერების, ასევე კომუნიკაციური უნრას სწავლის შედეგზე.
- **წიგნზე მუშაობის მეთოდი**, რომელიც ძირითადად სწავლის პროცესში გამოიყენება. სტუდენტი ამუშავებს თემატიკისათვის საჭირო მასალას მითითებული ლიტერატურის და სხვა წყაროების გამოყენებით; ასევე სტუდენტ-დოქტორანტი იყენებს ამ მეთოდს სტატიებისა და დისერტაციის დასაწერად ლიტერატურაზე მუშაობისას. მას. ძირითადად გადის ცოდნისა და გაცნობიერების, სწავლის უნარის, ასევე კომუნიკაციური უნრას შედეგზე.
- **დემონსტრირების მეთოდი**, რომელიც ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად. ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს; ადგილი აქვს სურათების, ცხრილებისა და გრაფიკების, ვიდეო მასალის და გატამასებული ეპიზოდების (როლების გათამაშება) გამოყენებას. გადის ცოდნისა და გაცნობიერების, ცოდნის პრაქტიკასი გამოყენების და დასკვნის უნარზე.
- **დისკუსია/დებატები** - ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი

არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს. გადის დასკვნისა და კომუნიკაციურ უნარზე, აყალიბებს და ავითარებს ღირებულებებს.

- **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში; გადის სწავლის, დასკვნისა და კომუნიკაციურ უნარზე, აყალიბებს და ავითარებს ღირებულებებს.
- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას
- **გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან; გადის სწავლის, დასკვნისა და კომუნიკაციურ უნარზე.
- **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი** - სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტულისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ. გადის დასკვნის უნარზე.

სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას;

**ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები** - მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია. გადის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარზე.

**შემთხვევების შესწავლა** (ე.წ. case study) - აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების-სიტუაციების გადაჭრის გზით. ეს მეთოდი დაფუძნებულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალიტების განხილვაზე და ანალიზზე. 'ქეისი' არის ინსტრუმენტი, მომლის საშუალებითაც ხდება თეორიული ცოდნის

პრაქტიკაში გამოყენება. თეორიისა და პრაქტიკის შედარებით, მეთოდი ეფექტიანად ავითარებს დასაბუთებული გადაწყვეტილებების მოკლე დროში მიღების უნარს. სტუდენტებს უფითარდებათ ანალიტიკური აზროვნება, გუნდური მუშაობის, ალტერნატიული აზრის მოსმენისა და გაგების, ალტერნატივების გათვალისწინებით განზოგადოებული გადაწყვეტილებების შემუშავების, მოქმედების დაგეგმვისა და მათი შედეგების პროგნოზიტების უნარი. გადის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და დასკვნის უნარზე.

### სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- 1) (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა;
- 2) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;
- 3) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;
- 4) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა;
- 5) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- 1) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- 2) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

- ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;
- ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

## დასაქმების სფერო

სადოქტორო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს საშუალება ეძლევა იმუშაოს:

- ლექტორად უმაღლეს სასწავლებლებში; სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებში,
- საჯარო სამსახურში: საგარეო საქმეთა სამინისტროში საგარეო ურთერთობების კომიტეტებში, ნატოს დეპარტამენტში,

ამერიკის საელჩოში, ამერიკულ და სხვა უცხოურ ორგანიზაციებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში.

# კომპიუტერული მეცნიერება

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: კომპიუტერული მეცნიერება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული მეცნიერების დოქტორი

სწავლების ენა: ინგლისური

## პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პროგრამის კანდიდატს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი კომპიუტერულ მეცნიერებაში ან მონათესავე დარგში. სადოქტორო პროგრამაზე სწავლის კანდიდატი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას მინიმუმ B2 დონეზე, რომელიც დადასტურებულია ერთ-ერთი საერთაშორისო სერტიფიკატით ან ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე სწავლით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. კანდიდატს შეუძლია ჩააბაროს შესაბამისი დონის გამოცდა შხსუ-ში.

ასევე საუნივერსიტეტო წესის მიხედვით, სადოქტორო პროგრამაზე სწავლის კანდიდატმა უნდა წარადგინოს საკვლევი თემის პროექტი (არანაკლებ ხუთი გვერდი) მისი სამომავლო კვლევის სფეროში, რომლის პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობას ქვემოთ მოცემული რუბრიკის მიხედვით ადასტურებს შესაბამისი დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი მიმღები კომისია და გაიაროს ინტერვიუ / ზეპირი პრეზენტაცია ამავე კომისიის წინაშე.

## პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები

კომპიუტერული მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი შემდეგი კომპეტენციები.

### ცოდნა და გაცნობიერება

1. კურსდამთავრებულებს სისტემურად გაცნობიერებული აქვთ კომპიუტერული მეცნიერების დარგი და შეუძლია მისი კრიტიკული გააზრება.
2. კურსდამთავრებულები სიღრმისეულად იცნობენ კომპიუტერული მეცნიერებების სამ ძირითად ქვედარგიდან ერთ-ერთს: თეორიული კომპიუტერული მეცნიერება, სისტემების დიზაინი და უსაფრთხოება, ხელოვნური ინტელექტი. იციან დარგში მიმდინარე კვლევები და გამოწვევები.
3. კურსდამთავრებულებს შეუძლიათ რთული სამეცნიერო კვლევითი პრობლემის გადაჭრის კრიტიკულად შეფასება და შესაძლო გაუმჯობესების დაგეგმარება.
4. კურსდამთავრებულებმა იციან საპროექტი წინადადებების მომზადება, მიღებული სამეცნიერო შედეგების პუბლიკაციის სახით ჩამოყალიბება და მოხსენების გაკეთება.
5. კურსდამთავრებულებმა იციან კომპიუტერული სისტემების გამოყენება, პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა და რეალური სამყაროს პრობლემების მოდელირება.



## უნარი

6. კურსდამთავრებულებს შეუძლიათ აწარმოონ სამეცნიერო კვლევები, გააკეთონ სამეცნიერო ნაშრომების და დისერტაციების რეცენზირება, დაბეჭდონ მიღებული სამეცნიერო პროდუქტის ამსახველი სტატია რეფერირებად მაღალრეიტინგულ ჟურნალში და კონფერენციის მასალებში.
7. კურსდამთავრებულებს შეუძლიათ უნივერსიტეტში დაიკავონ აკადემიური პოზიცია, წაიკითხონ ლექციები კომპიუტერული მეცნიერებების სხვადასხვა დარგში, უხელმძღვანელონ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო კვლევებს

## პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

8. კურსდამთავრებულნი პროფესიონალები არიან კომპიუტერული მეცნიერებების დარგში, იცნობენ დარგის ექსპერტების მიღწევებს და აღიქვამს თავიანთ შრომას, როგორც ამ დარგის შემადგენელ ნაწილს.
9. კურსდამთავრებულებს გაცნობიერებული აქვთ კვლევის, რეცენზირების, ტექნოლოგიების შექმნის და გამოყენების პოტენციური ეთიკური და სოციალური შედეგები.

## სწავლა-სწავლების მეთოდები (სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები)

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების განხორციელება ხდება სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

- **ლექცია** - ძირითადი თეორიული მასალის, ცნებების და სხვ. განხილვა სტუდენტთა აქტიური ჩართულობით. იგი ძირითადად ორიენტირებულია შესასწავლი მასალის მეცნიერული თეორიებისა და მიდგომების საფუძვლიან შესწავლაზე. აქ აქტიურად ხდება საკითხების სიღრმისეული გაშუქება, რა დროსაც გონებრივი იერიშის და სხვადასხვა ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით ხდება სტუდენტთა აქტიური ჩართვა დისკუსიებში, თემების ნათლად წარმოსახვასა და გარკვევაში.
- **სამუშაო ჯგუფში მუშაობა** - ჯგუფური მუშაობა ავითარებს თანამშრომლობის პირობებში კონკრეტული ამოცანების დაგეგმვისა და რეალიზების ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს ხდება ქვისების, ქვიზების, სავარჯიშოების, მაგალითების განხილვა, რითაც სტუდენტები იძენენ პრობლემის ჯგუფურად გადაწყვეტის უნარ-ჩვევებს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გუნდში მუშაობის უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას, სხვათა აზრის გათვალისწინება/გაზიარებას და კორექტული კომუნიკაციის კომპეტენციების დაუფლებას.
- **პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა** - პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებზე საკითხების სიღრმისეული წვდომის მიზნით ხდება ყურადღების კონცენტრირება საკითხების შესაბამისი მაგალითების, შემთხვევის ანალიზის (ქვისების) თუ ვიდეომასალების განხილვაზე, სავარჯიშოების შეთავაზებაზე, მათი გადაწყვეტის, ამოხსნის გზების ძიებაზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების განმტკიცებას და შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.

- **სემინარი** - სემინარის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეთ ლექციაზე მოსმენილი საკითხების და თემების დეტალიზაციის, უკეთ გარკვევისა და გაანალიზების რეალური შესაძლებლობა. სემინარი ცოდნის გადაცემის საშუალებაა, რომლის დროსაც იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები და ამ პროცესის მიზანმიმართულად წარმართვას კოორდინაციას უწევს ლექტორი. სემინარული მუშაობა ტარდება საჭიროებისამებრ, სალექციო მასალის გადაცემის კვალდაკვალ.
- **დამოუკიდებელი მუშაობა** - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით შესაძლებელია ლექციაზე შეძენილი ცოდნის გამყარება და გაღრმავება. დამოუკიდებელი მუშაობა გულისხმობს სახელმძღვანეოებისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გამოყენებით მასალის მოძიებას, წაკითხვას, გააზრებასა და შესწავლას, ასევე ლექციის მსვლელობისას მიღებული საშინაო დავალებების შესრულებას. ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს საკითხებისადმი ინტერესის გაღვივებას, საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილს, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

## სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

### **ხუთი სახის დადებით შეფასებას**

- (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.

### **ორი სახის უარყოფით შეფასებას**

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

- ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;
- ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.

## **დასაქმების სფერო**

კომპიუტერული მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა მოამზადებს საერთაშორისო დონის შესაბამის კონკურენტუნარიან სპეციალისტებს. კურსდამთავრებულის მიერ შეძენილი ცოდნა და უნარები, მას საშუალებას მისცემს უპასუხოს თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებთან დაკავშირებულ გამოწვევებს. კურსდამთავრებული შეძლებს დასაქმდეს, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებში, წამყვანი სპეციალისტის პოზიციაზე, სადაც პრაქტიკულად განახორციელებს ძირითად პროფესიულ ფუნქციებს როგორც დამოუკიდებლად, ასევე ჯგუფში მუშაობის დროს. კერძოდ, კურსდამთავრებული შეძლებს დაიკავოს მკვლევარის პოზიცია სამეცნიერო განყოფილებაში, აკადემიური პოზიცია სასწავლო დაწესებულებაში და წამყვანი სპეციალისტის პოზიცია ინდუსტრიაში საინფორმაციო ტექნოლოგიების განხრით.

# განათლების მეცნიერება

**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** განათლების მეცნიერებები

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** განათლების მეცნიერებების დოქტორი

**სწავლების ენა:** ინგლისური

## პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროგრამის კანდიდატს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პროგრამის მოთხოვნაა, რომ, პროგრამისთვის აუცილებელი ფონური ცოდნის უზრუნველყოფის მიზნით, ბაკალავრის ან მაგისტრის აკადემიური ხარისხი იყოს მოპოვებული განათლების, ფსიქოლოგიის, ან ინგლისური ფილოლოგიის დარგში ანდა ფლობდეს მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი 60-კრედიტიანი პროგრამის სერტიფიკატს. კანდიდატს უნდა ჰქონდეს გამოქვეყნებული ერთი სტატია (საკონფერენციო მასალების ჩათვლით) პროგრამის სფეროში. კანდიდატისთვის აუცილებელია მინიმუმ ერთწლიანი პედაგოგიური გამოცდილება ან განათლების სფეროში მუშაობის გამოცდილება. საუნივერსიტეტო წესის მიხედვით, სადოქტორო პროგრამაზე სწავლის კანდიდატი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას C1 დონეზე, რომელიც დადასტურებულია ერთ-ერთი საერთაშორისო სერტიფიკატით ან ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე სწავლით. კანდიდატს შეუძლია ჩააბაროს შესაბამისი დონის გამოცდა შხსუ-ში.

ასევე საუნივერსიტეტო წესის მიხედვით, სადოქტორო პროგრამაზე სწავლის კანდიდატებმა უნდა წარადგინონ კვლევის გეგმის მონახაზი, რომლის პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობას ადასტურებს დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს სულ ცოტა 3 წევრისგან შედგენილი კომისია და ინტერვიუ / ზეპირი პრეზენტაცია ამავე კომისიის წინაშე.

## პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები

### ცოდნა და გაცნობიერება:

სტუდენტს აქვს განათლების მეცნიერებების თეორიების, პრინციპების, პრაქტიკის, მიმდინარე ცვლილებებისა და სირთულეების ღრმა, უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნა:

- ა) განათლების მეცნიერებებთან დაკავშირებული თეორიების, პრინციპებისა და პრაქტიკის ისეთი ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა;
- ბ) განათლების დარგში გამოყენებული კვლევის მეთოდების ისეთი ცოდნა, რომელიც რეფერირებად ჟურნალში გამოსაქვეყნებელი სტატიის, კვლევითი პროექტისა და დისერტაციის უდევს საფუძვლად.

## უნარები:

სტუდენტს აქვს უნარი:

- განათლების დარგის კვლევა დაგეგმოს და განხორციელოს აკადემიური კეთილსინდისიერების პრონციპების დაცვით;
- საკუთარი კვლევითი პლატფორმის (ანკეტების, ინტრევიუს საკითხების, ცოდნის შესაფასებელი ტესტების) შემუშავოს, განათლების სფეროს ექსპერიმენტი დაგეგმოს და განხორციელოს, მისი შედეგების ინტერპრეტაცია სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით, რომელიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული (საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე);
- შეარჩიოს განათლების მეცნიერებების ამა თუ იმ ასპექტის კვლევის (სტატისტიკის, პროექტის, დისერტაციის) თანამედროვე თემა, ამ თემის გათვალისწინებით განახორციელოს რელევანტური კვლევითი ლიტერატურის მოძიება და კრიტიკული ანალიზი, დასვას პრობლემური კითხვები, შეარჩიოს კვლევის ადეკვატური მეთოდები და შეიმუშავოს ჰიპოთეზა, შემდეგ კი შეამოწმოს მისი ნამდვილობა, მოახდინოს მიღებული სტატისტიკური მონაცემების ინტერპრეტაცია, გადაჭრას გაანალიზებული პრობლემა. მოამზადოს საგანმანათლებლო კვლევის მიღებული შედეგები საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციისათვის, ასევე წარუდგინოს კოლეგებს და ფართო საზოგადოებას საკუთარი კვლევა პრეზენტაციის სახით;
- განახორციელოს ინოვაცია განათლების სფეროში, ახლებურად გადაჭრას განათლებასთან დაკავშირებული კომპლექსური პრობლემები, შექმნან ახალი ცოდნა;
- პროფესიულ თემატიკაზე ცხადად და აკადემიურად განახორციელოს კომუნიკაცია, მიიღოს მონაწილეობა დისკუსიაში საერთაშორისო და ადგილობრივ პროფესიულ და ფართო საზოგადოებასთან.

## პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

- სტუდენტს აქვს უნარი აკადემიურ ან/და პროფესიულ კონტექსტში უახლეს მიღწევებზე დამყარებული განათლების სფეროს კვლევითი პროექტები ან/და განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებები განახორციელოს ხელმძღვანელობითი, აკადემიური ან/და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, ასევე ინოვაციურობისა და დამოუკიდებლობის დემონსტრირებით.

## სწავლა-სწავლების მეთოდები (სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები)

**პრეზენტაცია** - ტარდება ზეპირად, სლაიდების გამოყენებით: მასალის ახსნა ან/და წარდგენა

**დემონსტრაცია** - მოქმედების / ნიმუშის ჩვენება

**ინდუქცია** - აზროვნება კერძოდან (მაგალითიდან) ზოგადისკენ (წესისკენ)

**დედუქცია** - აზროვნება ზოგადიდან კერძოსკენ

**ანალიზი** - დეტალური კრიტიკული განხილვა

**სინთეზი** - პროდუქტის შექმნა, დეტალების გაერთიანება

**შემთხვევების ანალიზი** - კონკრეტული საგანმანათლებლო სიტუაცია / მდგომარეობა (გარკვეული ქვეყნის, სასწავლებლის, მასწავლებლის, გაკვეთილის/ლექციის)

**ელექტრონული რესურსებით სწავლება** - Power Point ან სხვა სადემონსტრაციო პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, აუდიო-ვიდეო მასალების გამოყენება, საშინაო დავალების ელექტრონული ფოსტით გადმოგზავნა, ინტერნეტზე განთავსებული მასალების გამოყენება  
**დისკუსია/დებატები** - ზეპირი კამათი, სხვადასხვა შეხედულებების გამოთქმა, არგუმენტირება, შეფასება

**გონებრივი იერიში** - გუნდური ან მთელი აუდიტორიის ჩართულობით სწრაფად არსებული ცოდნის გახსენება / შეჯამება / მუშაობის გეგმის შედგენა

**ჯგუფური მუშაობა / თანამშრომლობითი სწავლა** - 3-5-კაცამდე შემადგენლობით ჯგუფში დავალების შესრულება; ფუნქციები ჯგუფში შეიძლება განაწილებული იყოს (იდებების გენერატორი, კრიტიკოსი და ა.შ.); ჯგუფური მუშაობის დროს ხდება სტრატეგიების გაზიარება  
**დაკვირვება** - სასწავლო პროცესზე დასწრება და გარკვეული კუთხით მისი შეფასება

**ინდივიდუალური მუშაობა** - სტუდენტის მიერ დავალების დამოუკიდებლად შესრულება

**წიგნზე მუშაობა** - ძირითადად სახლში მუშაობის ფორმაა, თუმცა, დასაშვებია აუდიტორიაშიც გამოიყენებოდეს; წიგნში წარმოდგენილი მასალის გაცნობა, ანალიზი, დამახსოვრება

**კონსულტაცია** - ლექტორის დახმარებით აუდიტორიაში თუ მის გარეთ გარკვეული პრობლემური საკითხების გარკვევა, დაზუსტება

**ბაკალავრი/მაგისტრანტი სტუდენტის ნაშრომის/ცოდნის შესაფასება** - პროფესორის ასისტირებისას ტესტების შედგენა და გამოყენება (პროფესორის მონიტორინგით), ლექტორის მიერ მოცემული „გასაღების“ და რუბრიკის გამოყენების სტუდენტების ქვიზების შეფასება

**ლექციის მომზადება/ჩატარება** - პროფესორის ასისტირებისას საბაკალავრო დონის ლექციის მომზადება და ჩატარება პროფესორის მონიტორინგის ქვეშ

## სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

**შეფასების სისტემა უშვებს:**

**ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

- (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.

**ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტებში კრედიტის მინიჭება შესაძლებელია მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.

სადისერტაციო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, შემდეგი სისტემის მიხედვით:

- ა) ფრიადი (*summa cum laude*) - შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (*cum laude*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (*bene*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

ზემოთ მოყვანილი „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი, „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

## დასაქმების სფერო

კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იმუშაონ სამთავრობო და არასამთავრობო საგანმანათლებლო დაწესებულებებში და იყვნენ მკვლევარები განათლების მეცნიერებებში. ასევე, მათ შეუძლიათ იმუშაონ უმაღლესი განათლების დაწესებულებაში ლექტორად ან/და ადმინისტრაციულ პირად.